

**დაგვიანებული გამოხმაურება გერჰარდ დეეტერსის
ერთ-ერთ თვალსაზრისთან დაკავშირებით
ქართული ზმნის შესახებ**
**DELAYED FEEDBACK ON ONE
OF THE VIEWPOINTS OF GERHARD DEETERS
CONCERNING THE KARTVELIAN VERB**

იზა ჩანტლძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

ნანა ოდიშელიძე

ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი
იენა, გერმანია

Iza Chantladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

Nana Odishelidze

Friedrich Schiller University of Jena
Jena, Germany

ABSTRACT

Several problems (solved or unsolved) presented by Gerhard Deeters in his monograph entitled *Das kharthwelische Verbum* (Leipzig, 1930) remain a subject of much debate among Kartvelologists both in Georgia and abroad. This time we will consider only one specific issue that is the essence and the origin of prefix markers of a specific category of the Kartvelian verbs, i.e. version. In this respect, there are several monographs and certain studies authored by scholars from different countries. We believe, one of the viewpoints proposed in G.Deeters's book under discussion requires examination. According to the scholar, the Common Kartvelian **u-** prefix transformed in Svan into the **o-** vowel which again reduced to **u-**.

It could be stated that the **u-** prefix with the semantic of objective version that occurs here and there in the 1939 edition of ancient prose texts, seems to indicate the archaic phase of the development of the Svan language, rather than the result of reduction or impact of any other morphonological processes. We fully agree with Givi Machavariani who stated that **“the similarity of version markers in all three Kartvelian languages suggests that these formants originate from the Common Kartvelian language”** (2002: 99). In this respect, further investigation is necessary

to be pursued with reference to the language of both ancient Svan folk poetry and proverbs. The materials of all dialects, and especially traditional idiomatic expressions, deserve special examination.

საკვანძო სიტყვები: ქართველური (სვანური) ზმნა, ზმნური პრეფიქსები, ქცევის კატეგორია, გერჰარდ დეეტერსი.

Keywords: Kartvelian verb, Svan verb, verbal prefixes, category of version, Gerhard Deeters.

თითქმის საუკუნის წინ წერდა არნოლდ ჩიქობავა: „ქართული ზმნის ხლართში მეცნიერული ანალიზის შუქმა ჯერაც ვერ შეატანა და, ალბათ, საკმაოდ დრო გაივლის, სანამ მისი უჩინარი მექანიზმის პირველადი ბერკეტები გაშიშვლდებოდეს“ (ჭურნ., „ახალ სკოლისაკენ“, ტფ., 1929). იმავდროულად დაიბეჭდა გერჰარდ დეეტერსის მონოგრაფია: „Das kharthwelische Verbum“ (Leipzig, 1930), რომელშიც დასმული (გადაწყვეტილი თუ გადასაწყვეტი) არაერთი პრობლემის თაობაზე დღესაც მსჯელობენ ქართველოლოგები როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში; ამ ფონზე ძალზე დასანანია, რომ იმავე საკითხების კვლევისადმი მიძღვნილ ვარლამ თოფურიას „სვანურ ზმნაში“ (ტფ., 1931) – ქართველოლოგთა სამაგიდო წიგნში არაფერია ნათქვამი ჩვენი შესანიშნავი გერმანელი კოლეგის ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომის შესახებ. იგივე ვითარებაა „Das kharthwelische Verbum“-შიც (რაგინდ გასაოცარიც უნდა იყოს ეს ფაქტი!) – არსადაა ნახსენები „სვანური ზმნა“; ვფიქრობთ, ამგვარი უნებლიე უხერხულობა უნდა აიხსნას იმით, რომ ორივე მონოგრაფიის შექმნაზე მათი ავტორები ერთდროულად მუშაობდნენ.

ამჯერად ჩვენ შევხებით მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხს – ქართველურ ზმნათა სპეციფიკური კატეგორიის – ქცევის გამომხატველ პრეფიქსთა რაობასა და წარმომავლობას. სხვადასხვა ეროვნების მეცნიერთა იმდენი მონოგრაფია თუ ცალკეული გამოკვლევა არსებობს ამასთან დაკავშირებით, რომ თითქოს ვერც ვერაფერს ვიტყვით ახალს, მაგრამ – არა! გ. დეეტერსის საანალიზო წიგნში წარმოდგენილი ერთ-ერთი თვალსაზრისი, ვფიქრობთ, განხილვას საჭიროებს:

როგორც ცნობილია, ქართულსა და მეგრულ-ლაზურ ენებში საობიექტო ქცევას აწარმოებენ **ი-** (I-II პ.) და **უ-** (III პ.) პრეფიქსები, ხოლო **სვანურში უმნიშვნელო სხვაობას** (ვ. თოფურია, გ. მაჭავარიანი, რ. ასათიანი) **ქმნის ო- პრეფიქსი**, რომელიც, ჩვეულებრივ, III პირის ფორმებთან გამოიყენება.

სპეციალურ ლიტერატურაში (თოფურია 1947; ქავთარაძე 1954; Vogt 1971) **უ-** მაქცევრის გვიანდელი წარმომავლობის საკითხიცაა დასმული, რაკიდა, ზოგი თვალსაზრისის მიხედვით, **ა-, ი-, ე-** პრეფიქსებთან შედარებით მისი გამოყენება გარკვეულწილად შეზღუდულია ქართველურ ენებში. მართალია, დღეს სვანურ სტატიკურ ზმნაში **უ-** ყველა პირში გვხვდება (**მ-უ-ღჷ-ა/ე** „მაქვს“, **ჯ-უ-ღჷ-ა/ე** „გაქვს“, **ხ-უ-ღჷ-ა/ე** „აქვს“, მდრ. მეგრ.-

ლაზ. **მ-ი-ღუნ**), **გ-ი-ღუნ**), **უ-ღუნ**) და მას საობიექტო ქცევის გაგება არა აქვს, მაგრამ გ. დეეტერსი პარალელს ავლებს ლაშხურ პრევერბიან ფორმასთან **ობღა** („მოაქვს“), რომელიც მას მიაჩნია სავარაუდო ***ანობღა**სგან მომდინარედ (Deeters 1930: 251)¹. რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა ვ. თოფურის „სვანურ ზმნაში“: „აწმყოს ჯგუფში **ხუღა/ე**სა („აქვს“) და სხვა ფორმებში მაქცევარი არა ჩანს – ლაშხურში იგი სასხვისო ქცევადაა გაგებული: **ოს-ღ-ჟა**, **ო-ხ-ღ-ჟა** (<***ან-ხ-ო-უ-ღჟ-ა?**, შდრ. **ო-ხ-ყა**)².

სვანური ენის სხვა დიალექტებთან შედარებით ლენტეხური „ზმნების I პირში აშკარაა **ო > უ** ფონეტიკური პროცესი: **ხუში** < ***ხჟ-ო-ში-ი** „ვუწვავ“, შდრ. ზსვ./ლშხ. **ხ-ო-ში-ი**, ხუსკდი, <***ხჟ-ო-სკდ-ი** „ვუყურებ“, შდრ. ზსვ./ლშხ. **ხ-ო-სგდ-ი**... თუმცა შევნიშნავთ, რომ ამოსავლად **-უ-** ხმოვანს ვივარაუდებთ თუ **-ო-**ს, შედეგად მაინც **-უ-** (<**ჟ+უ?**) მაქცევარი გვექნებოდა, მაგრამ დასაშვებია საანალიზო ენის რომელიმე დიალექტში **-ჟუ-** ფონემათიმდეგრობა?! სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ სვანურში ყველაზე უკეთ ფონეტიკა-ფონოლოგიის საკითხებია შესწავლილი (მარტო პალატალური თუ ველარული უმლაუტისა და ხმოვანთა თავდაპირველი თუ კომპენსატორული სიგრძისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური შრომები რად ღირს!), მაინც ძალიან მოვიკოჭლებთ ფონემათიმდეგრობისა და მორფემათა რანგის შესაძლო თუ შეუძლებელ პოზიციათა კვლევის თვალსაზრისით.

სპეციალურ ლიტერატურაში ქართველურ **უ-/ო-** მაქცევართა გენეზისთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება არსებობს:

1. **უ-** პარალელური ვარიანტია **ი-** პრეფიქსისა (Schuchardt 1895: 15);
2. რატომ იცვლება მახასიათებელი (**CV**)³ **ი-** ხმოვანი **უ-** ხმოვნით, ნათელი არაა (Deeters 1930: 87);
3. **ი/უ** პრეფიქსები ირიბი ობიექტისკენ (შორეული მიზნისკენ) მიმართული მოქმედების აღმნიშვნელი და ე. წ. ინტერესის მიცემითის ფუნქციის გამომხატველია (Kettler 1938: 96; Paschen 1939: 39-82);⁴
4. **უ-** პრეფიქსი თავდაპირველად არ უნდა ყოფილიყო ქცევის გამომხატველი – ეს ფუნქცია მას თანდათანობით შეუძენია (როგავა 1942: 207-211);

¹ გულდასაწყვეტია, რომ გ. დეეტერსის მონოგრაფიაში წარმოდგენილი ანალიზი, ძირითადად, ლაშხურ მასალებს ემყარება, თორემ მას რომ ლენტეხური **ა-ხ-ო-ღჟ-ა** გამოეყენებინა, ცხადია, ე. წ. ვარსკვლავიანი ფორმის აღდგენა აღარ დასჭირდებოდა.

² **ო > ჟ** ფონეტიკური პროცესი მსოფლიოს არაერთ ენაში გვხვდება – ამ მხრივ არც სვანურია გამონაკლისი, ოღონდ ამოსავალი (**ხ-უ-ღჟ-ა/ე**) ფორმის თავდაპირველი სახის აღდგენა მისგან მომდინარე პრევერბიანი (თანაც ენაში არარსებული სავარაუდო) ვარიანტით, ვფიქრობთ, გაუმართლებელია; ალბათ, ამიტომაც კითხვის ნიშნით წარმოდგენილი ვ. თოფურის „სვანურ ზმნაში“ **ო-ხ-ღჟა** < ***ან-ხ-ო-უ-ღჟ-ა?**

³ ყველა გერმანელი და ავსტრიელი მკვლევარი ქართველურ მაქცევრებს Charaktervokale-ს უწოდებს.

⁴ აშკარაა, რომ გერტრუდ კეტლერი/პეჩი და ვილჰელმ პეშენი იმეორებენ თავიანთი მასწავლებლის - გერჰარდ დეეტერსის მოსაზრებას dativus commodi („სარგებლობის მიცემითი“) თუ dativus ethiles („ინტერესის მიცემითი“)ის შესახებ (იხ. Deeters 1930: 88-91).

5. ალბათ, უ- პრეფიქსი სამივე პირის ფორმაში გვხვდებოდა (შდრ. სვანური მ-უ-ღჷ-ა, ჯ-უ-ღჷ-ა, ხ-უ-ღჷ-ა), მერე კი თანდათანობით მოხდა უ > ი პროცესი დანარჩენ პირებში (ქავთარაძე 1954: 287-296);

6. უ- და ი- მორფოლოგიურად მონაცვლე პრეფიქსებია (ლომთათიძე 1957: 317);

7. ზმნათა პრეფიქსული ხმოვნების (ა-, ე-, ი-, უ-) პირვანდელი ფუნქცია სამებარია (ჩიქობავა 1959: 167);

8. სათავისო და სასხვისო ქცევისათვის დასაშვებია ერთი ამოსავალი სტრუქტურა (Boeder 1968: 151);

9. უ- ფონეტიკურად შეპირობებული ვარიანტია ი- მაქცევრისა (Vogt 1974: 110);

10. სიღრმისეულ დონეზე არ გვექონდა განსხვავება სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმებს შორის, შემდეგ კი /ი/ > /უ/ აბლაუტი გამოწვეულ იქნა ამ მონაცემთა მორფოლოგიური ომონიმიის თავიდან ასაცილებლად (ნებიერიძე 1976: 133-194);

11. უ- < ჰ- + ი- მორფოლოგიური პროცესია (Harris 1981: 90);

12. ა-, ე-, უ- პრეფიქსებისთვის საერთოა პირისადმი მიმართების დანიშნულება, რომლის საფუძველზე ისინი ურთიერთს გამორიცხავენ და მორფემათა ერთ რანგში იმკვიდრებენ ადგილს (დამენია 1982: 81-129);

13. კუთვნილებითი ურთიერთობის გამოხატვის ფუნქცია უ- პრეფიქსისათვის არც ამოსავალია და არც ძირითადი (ზოგიერთ ფორმაში ის თავისუფლად ენაცვლება სხვა პრეფიქსებს) – მისთვის მთავარია კონსტრუქციაში ირიბი ობიექტის პოვნისეზზე მითითება (ჯორბენაძე 1983: 173-175);

14. ქართველურ ენათა უ-, ი- მაქცევრები მომდინარეობენ ი- მაქცევრისგან ობიექტის (ხ-/ჰ-) პრეფიქსებთან მეზობლობით წარმოქმნილი გარკვეული მორფოლოგიური პროცესების საფუძველზე (მაჭავარიანი 1987: 16-17);

15. მაქცევართა ფუნქციები ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული არ უნდა ყოფილიყო საერთოქართველურ ენაში (მაჭავარიანი 2002: 98).

16. მეტად რთულია, ნათელი წარმოდგენა შევიქმნათ ხმოვანი პრეფიქსების წარმომავლობის შესახებ... მათი ზოგადი ფუნქცია უნდა იყოს ზმნურ ყალიბთა წარმოება (ფუტკარაძე 2010).

როგორც ვხედავთ, სპეციალისტთა უმრავლესობა საობიექტო ვერსიის აღმნიშვნელ ქართულ-ზანურ უ- პრეფიქსს მეორეულ მოვლენად მიიჩნევს, რომელსაც სვანურ ენაში ი- შეესატყვისება, სადაც, გერჰარდ დეეტერსის აზრით, რედუქციის საფუძველზე ისიც შეიძლება იქცეს უ- ხმოვნად. მაშინ წინარექართველურის ვითარება როგორ უნდა წარმოვიდგინოთ?!

გივი მაჭავარიანი, გერმანელი კოლეგის მოსაზრების განხილვის შემდეგ, კატეგორიულად აცხადებს თავის საკანდიდატო დისერტაციაში: „ეჭვი არაა, სვანური -ი- უ-სგან არის მიღებული“ (მაჭავარიანი 1953: 94), მაგრამ ეს რომ არ უთქვამს გ. დეეტერსს?! „Das kharthwelische

Verbum“-ში საპირისპირო პროცესზეა მსჯელობა: „xuywa-er hat ist nicht als xəywa = *x-ywa zu deuten, sondern ist aus *xoywa reduziert“ (Deeters 1930: 81). როგორ?! – წინარეპართველური უ- სვანურში ო- ხმოვნად იქცა იმიტომ, რომ ამავე ენაში ისევე უ-დ ქვეულიყო?! გ.დეეტერსის ამ ერთადერთ მაგალითს გ. მაჭავარიანი უმატებს სამ მონაცემს (**ბ-უ-რდ-ა-ბ** „ჰყავდათ“, **ბ-უ-ცხ-ა** „ურჩევნია“, **ბ-უ-მგარ-ბ** „ემგერნენ“) აკაკი შანიძის მიერ 1921 წელს ბალს ზემოთ (სოფელ ლახირში) ჩაწერილი ტექსტებიდან, რომელთაც იმავე დიალექტის წარმომადგენელი (ლახირიდან ერთ კილომეტრში – სოფელ ჭოლაში მცხოვრები მერი გუჯეჯიანი) სისტემატურად ასწორებდა ო- ხმოვნით. ამ ტექსტებში ანალოგიური მაგალითები კიდევ გვაქვს: **ბ-უ-რ-ი** „ჰყავს“ (სვანური პროზაული ტექსტები 1939: 256_{1,21}), **ბ-უ-ფან-ე-ბ** „საკურთხს უდგამენ“ (იქვე, 12₂₅), **ბ-უ-ჩდ-ა** „ყოფილა“ (იქვე: 257₉), **ბ-უ-წყ-ა-ბ** „უნახავთ“ (იქვე: 257₁₄). საგულისხმოა, რომ ერთი და იმავე ზღაპრის მოყოლისას ერთი და იგივე მთქმელი ხან **ბ-ო-რდ-ა-ბ** („ჰყავდათ“ – 256₂₇) ფორმას (ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო დ გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ს!) ხმარობს და ხანაც – **ბ-უ-რდ-ა-ბ** („ჰყავდათ“ – 256₃₃), მხოლოდ ალაგ-ალაგ შემორჩენილს, დიახ, შემორჩენილს – ალბათ, საერთოქართველური ფუძეენიდან მომდინარე მატყვევრის ამსახველს, რაც სრულიადაც არ არის გასაკვირი არქაული გრამატიკული სტრუქტურით გამორჩეული ენისთვის.

მაშასადამე, სა ო ბ ი ე ქ ტ ო ვ ე რ ს ი ი ს ს ე მ ა ნ ტ ი კ ი ს შემცველი უ-პრეფიქსი, აქა-იქრომ გვხვდება 1939 წელს გამოცემულ ძველისძველ პროზაულ ტექსტებში, სვანური ენის განვითარების არქაული საფეხურის მაჩვენებელი ჩანს და არა რედუქციის ან სხვა რომელიმე მორფოლოგიური პროცესის მოქმედების შედეგი. სრულიად ვეთანხმებით გივი მაჭავარიანს: „მატყვევრების ერთნაირობა სამივე ქართველურ ენაში იმაზე მიუთითებს, რომ ეს მაწარმოებლები საერთოქართველურიდან მომდინარეობენ“ (2002: 99). საჭიროა კვლევა-ძიება გაგრძელდეს ამ მიმართულებით როგორც ძველი სვანური ხალხური პოეზიის, ისე ანდაზების ენის მიხედვით; საგანგებოდ უნდა შევისწავლოთ ყველა დიალექტის მასალა, განსაკუთრებით კიტრადიციული იდიომატური გამონათქვამები.

გამოყენებული ლიტერატურა

ასათიანი 2016: ასათიანი რ., ზმნური ხმოვანპრეფიქსების ფუნქციები ქართველურში: ვერსია და კაუზაცია. ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის პრობლემები. თბილისი, 2016.

დამენია 1982: დამენია მ., ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები. თბილისი, 1982.

თოფურია 1931: თოფურია ვ., სვანური ენა, I, ზმნა. ტფილისი, 1931. თბილისი, 1967.

ლომთათიძე 1947: ლომთათიძე ქ., ქცევის კატეგორიისათვის აფხაზურ ზმნაში. თსუ შრომები, XXX/I B. თბილისი, 1947.

მაჭავარიანი 1953: მაჭავარიანი გ., ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში (საკანდიდატო დისერტაციის კომპიუტერული ვარიანტი). თბილისი, 1953.

მაჭავარიანი 2002: მაჭავარიანი გ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა (ლექციების კურსი). თბილისი, 2002.

მაჭავარიანი 1987: მაჭავარიანი მ., ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბილისი, 1987.

ნებიერიძე 1976: ნებიერიძე გ., ქცევის კატეგორია ქართულში. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №4. თბილისი, 1976.

როგავა 1942: როგავა გ., კუთვნილებითი აფიქსი -ი- ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში. „მომხე“, ტ. III, №2. თბილისი, 1942.

სალაძე 1986: სალაძე ნ., უცხოელი მკვლევრები ქართული ზმნის ქცევის კატეგორიის შესახებ. თსუ შრომები, 267 (ენათმეცნიერება 10). თბილისი, 1986.

სვანური პროზაული ტექსტები 1939: სვანური პროზაული ტექსტები, ბალსაშემოური კილო, ტ. I. შემდგენლები: ა. შანიძე, ვ. თოფურიამ. გუჯეჯიანი. თბილისი, 1939.

ფუტკარაძე 2006: ფუტკარაძე ტ., ქართული ზმნის ლოგიკური პარადიგმის საკითხისათვის. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, ტ. VIII (I), ქუთაისი, 2006.

ფუტკარაძე 2010: ფუტკარაძე ტ., ხმოვანი პრეფიქსების ფუნქციისათვის ქართულ (ქართველურ) ზმნაში. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2010.

ქავთარაძე 1954: ქავთარაძე ი., ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში. თბილისი, 1954.

ჩანტლაძე 1999: ჩანტლაძე ი., საობიექტო ვერსია ქართველურ ენებში და მისი -უ- ალომორფი სვანურში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. VII. თბილისი, 1999.

ჩიქობავა 1959: ჩიქობავა არნ., ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XI. თბილისი, 1959.

ჯორბენაძე 1983: ჯორბენაძე ბ., ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში. თბილისი, 1983.

Boeder 1968: Boeder W., Über die Versionen des georgischen Verbs. “Folia Linguistica”, T. II, ½, Mouton, 1968.

Deeters 1930: Deeters G., Das kharthwelische Verbum (Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen). Leipzig, 1930.

Fährnich 1965: Fährnich H., Die Funktionen des Charaktervokals i im georgischen Verb. Wiesenschaftliche Zeitschrift Friedrich-Schiller-Universität, Heft I. Jena, 1965.

Harris 1981: Harris A. C., Georgian syntax, "A study in relational grammar" (=Cambridge Studies in Linguistics 33). Cambridge University Press. Cambridge, 1981.

Hewitt 1982: Hewitt B. G. Morphologically-sensitive phonological Rules in the Svan Verbalcomplex. «Revue de Kartvelologie», V. XL. Paris, 1982.

Kettler 1938: Kettler G., Das Verbum finitum in der altgeorgische Übersetzung des Markus-Evangeliums. Linguistische Anthropos-Bibliothek 14. Wien, 1938.

Paschen 1939: Paschen W., Die Charaktervokale des altgeorgischen Verbums in der Übersetzung des Matthäus und Markus und den Palimpsest-Texten. Inaugural-Dissertation, Bonn, 1939.

Schuchardt 1895: Schuchardt H., Über das Georgische. Wien, 1895.

Vogt 1971: Vogt H., Grammaire de la langue géorgienne. Oslo, 1971.